გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 60

2025 წლის 13 მაისი
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 მაისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი N1

1.„გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

2. „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

3. „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

4. ,,გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ნოემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

6. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ა(ა)იპ იმულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობისთვის'' (ს/ნ 203839766) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

7. „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის დევნილთა დასახლებაში 2 (ორი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,,მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განყოფილების“ მიერ 2024 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/

9. „ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ" განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

10. „შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი" -ს გორის სერვის ცენტრის 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული სამუშაოს შესახებ" ინფორმაცი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/